გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსი

თბილისი

თავი I

სტუდენტური ეთიკის კოდექსი, მისი ამოცანები მიზანი და მოქმედების სფერო

მუხლი 1. ცნება

ეს კოდექსი აწესრიგებს სტუდენტთა ურთიერთობას და ქცევის წესებს, რომელიც თანასწორობის პრინციპს ეფუძნება.

მუხლი 2. კოდექსის მოქმედების სფერო

ამ კოდექსის მოქმედების სფერო ვრცელდება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ყველა კამპუსში.

მუხლი 3. კოდექსის მიზანი

კოდექსი მიზნად ისახავს:

1. შექმნას სტუდენტთა ქცევის ერთიანი წესები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ საკუთარი უფლება - მოვალეობების მაღალი პასუხისმგებლობით განხორციელებას.
2. მოაწესრიგოს ურთიერთობა სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის.

მუხლი 4. კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეთიკის ზოგადი ნორმები - ამ კოდექსით დადგენილი ქცევის წესები, რომლის დარღვევის შემთხვევაში დგება სტუდენტის პასუხისმგებლობა.
ბ) პლაგიატი - აკადემიური სიყალბე, სხვისი ნაშრომის ან იდეების მითვისება, ამ ნაშრომის, იდეის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე ან არასწორი წყაროს მითითება.
გ) ვანდალიზმი - საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც გამოიხატება შენობა - ნაგებობებისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანებასა და წაბილწვაში.
დ) ნარკოტიკული საშუალება - ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი.
ე) ფსიქოაქტიური ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც მოქმედებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს მისი ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილებას.

თავი II
სტუდენტური ეთიკის კოდექსის პრინციპები

მუხლი 5. თანასწორობის პრინციპი

1. ყველა სტუდენტი ამ კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი, ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ან სხვა ნიშნის მიხედვით.
2. უნივერსიტეტი ქმნის სპეციალურ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

მუხლი 6. სამართლიანობის პრინციპი

უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის მიმართ თანაბრად ვრცელდება უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტური ეთიკის კოდექსი.

მუხლი 7. გამჭირვალობის პრინციპი

უნივერსიტეტის საქმიანობაში გადაწყვეტილებების მიღება გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი ყველასთვის, გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა.

მუხლი 8. ურთიერთპატივისცემის პრინციპი

ურთიერთობა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს შორის ემყარება ურთიერთპატივისცემას, კორექტულობასა და თავაზიანობას.

მუხლი 9. ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის პრინციპი

სტუდენტის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

მუხლი 10. აკადემიური თავისუფლება და კეთილსინდისიერების პრინციპი

სტუდენტი თავისუფალია აკადემიური ან/და კვლევითი პროგრამის/ცალკეული სასწავლო კურსის არჩევანში, ამავე დროს, ზედმიწევნით იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევითი ეთიკის ნორმებს.

მუხლი 11. არჩევითობის პრინციპი

ყველა სტუდენტს შეუძლია აირჩიოს და იყოს არჩეული უნივერსიტეტის და თვითმართველობის სხვადასხვა დონის არჩევით ორგანოებში

თავი III
სტუდენტის ვალდებულებები

მუხლი 12. ზოგადი ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას სტუდენტის ეთიკის კოდექსი.
2. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა სავალდებულო და ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია.
3. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, ეთიკის კოდექსი და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნა.
4. სტუდენტმა პატივი უნდა სცეს სხვა ადამიანის ღირსებას, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხვა პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

მუხლი 13. მეცადინეობის დროს და უნივერსიტეტში სავალდებულო ქცევის წესები

1. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები საუნივერსიტეტო სივრცეში.
2. დაესწროს მეცადინეობებსა და გამოცდებს უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად.
3. დაიცვას ლექტორის მიერ წარდგენილ სილაბუსში მითითებული წესები და მოთხოვნები.

მუხლი 14. სტუდენტის ნეიტრალურობა

საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტი დეპოლიტიზირებულია.

მუხლი 15. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს საბიბლიოთეკო რესურსს, დროულად და დაუზიანებლად დააბრუნოს ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები და მასალები.

თავი IV
სტუდენტის უფლება-მოვალეობები

მუხლი 16. სტუდენტის უფლებები

სტუდენტს უფლება აქვს:

1. მოითხოვოს სწავლისა და დასვენებისათვის ნორმალური პირობების შექმნა - მიიღოს ხარისხიანი განათლება.
2. აირჩიოს, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცალკეული სასწავლო კურსები.
3. ყოველი სემესტრის ბოლოს შეაფასოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ეთიკის დაცვით, არგუმენტირებულად, დასვას საკითხი მათი შეცვლის შესახებ.

4. გამოავლინოს ინიციატივა, ორგანიზება გაუწიოს სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქციებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის პოლიტიკას და მოითხოვოს ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 17. მობილობის უფლება

სტუდენტს უფლება აქვს:

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
2. მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო მობილობის პროცესში - გარკვეული პერიოდით ისწავლოს ან/და კვლევითი პროექტი განახორციელოს უცხოეთის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 18. აზრის გამოხატვის თავისუფლება

1. უნივერსიტეტში აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება, გარდა პოლიტიკური შეხედულებებისა, დაცულია. დაუშვებელია სტუდენტის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.
2. სტუდენტს უფლება აქვს დასაბუთებული უარი თქვას იმ აქტივობების გაზიარებაზე, რომელიც შეიძლება შესთავაზონ უნივერსიტეტში.

მუხლი 19. თვითმართველობა

სტუდენტს უფლება აქვს საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში.

მუხლი 20. ომბუდსმენის მხარდაჭერის მიღების უფლება

სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს სტუდენტთა ომბუდსმენის სერვისით და მიმართოს ომბუდსმენს დადგენილი წესით.

თავი V
სტუდენტის ეთიკის ნორმები

ეს კოდექსი ადგენს სტუდენტისთვის ეთიკის ზოგადი ნორმებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტისთვის.

მუხლი 21. სტუდენტის ეთიკის ზოგადი ნორმების დარღვევა

სტუდენტის მიერ ეთიკურ გადაცდომად ჩაითვლება:

1. კონფლიქტური სიტუაციის შექმნა ან ამ სიტუაციაში თანამონაწილეობა, აგრეთვე, შეურაცხმყოფელი და არაეთიკური სიტყვების გამოყენება, როგორც მეცადინეობის პროცესში, ისე თავისუფალ დროს.
2. ნებისმიერი ტექნოლოგიური საშუალების გამოყენება, მეცადინეობის პროცესში, ლექტორის ნებართვის გარეშე.
3. ქცევა, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს და შეურაცხყოფდეს უნივერსიტეტის სახელს, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
4. სხვა სტუდენტებისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების შეზღუდვით.
5. აკადემიური სიყალბე და პლაგიატი.

მუხლი 22. ცივი იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარება, გამოყენება, სხვა პირისათვის გადაცემა

აკრძალულია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცივი იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის, საშიში, ფეთქებადი, მალე აალებადი ნივთიერებების ტარება (თუ სტუდენტს უფლება აქვს ატაროს იარაღი, იგი ვალდებულია ის ჩააბაროს უნივერსიტეტის დაცვის სამსახურს, ვიდრე დატოვებს უნივერსიტეტის ტერიტორიას).

მუხლი 23. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ტარება, მოხმარება, ან სხვა პირისათვის გადაცემა

აკრძალულია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ტარება, მოხმარება, ან სხვა პირისათვის გადაცემა.

მუხლი 24. ალკოჰოლური სასმელის მოხმარება

დაუშვებელია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლის მოხმარება ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

მუხლი 25. სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქმედება

დაუშვებელია, სექსუალური ხასიათის ნებისმიერი, ქმედება, რომელიც ლახავს პიროვნების ღირსებას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შურაცხმყოფელ გარემოს.

მუხლი 26. თამბაქოს, ელექტრონული სიგარეტის და სხვა მსგავსი საშუალების მოხმარება უნივერსიტეტის შენობასა და ეზოში

აკრძალულია თამბაქოს, ელექტრონული სიგარეტის და სხვა მსგავსი საშუალების მოხმარება უნივერსიტეტის შენობასა და ეზოში, გარდა სპეციალურად გამოყოფილი სივრცისა.

მუხლი 27. ვანდალიზმი

დაუშვებელია უნივერსიტეტის, როგორც გარე, ისე შიდა ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის ან/და ინვენტარის, სტუდენტთა სარგებლობისთვის განკუთვნილი სხვა ნივთის, მათ შორის, გარესამეთვალყურეო კამერის, განზრახ დაზიანება ან განადგურება.

მუხლი 28. დისკრიმინაციის აკრძალვა

დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

მუხლი 29. პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდის აკრძალვა

დაუშვებელია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პოლიტიკური ან/და რელიგიური ხასიათის პროპაგანდა.

თავი VI
მხარდაჭერის ორგანოები და პასუხისმგებლობები

მუხლი 30. სტუდენტის მხარდაჭერის ორგანოები

1. თუ სტუდენტის მიმართ დარღვეულ იქნა სტუდენტური ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები მას უფლება აქვს მხარდაჭერისთვის მიმართოს:
   ა) სკოლის დეკანატს;
   ბ) უნივერსიტეტის აკადემიურ კომიტეტს/რექტორს;
   გ) სტუდენტურ ომბუდსმენს;
   დ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ცენტს.
2. სტუდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მხარდაჭერის ორგანოებისათვის შესაძლოა იყოს ღია ან კონფიდენციალური (სტუდენტთან შეთანხმებით).

მუხლი 31. პასუხისმგებელი ორგანო ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის

ამ კოდექსით გათვალისწინებული ეთიკის ნორმების დარღვევის ფორმას, სიმძიმეს, სტუდენტის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას, ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური კომიტეტი.

მუხლი 32. ეთიკის კოდექსის დარღვევის ნაკლებად მძიმე და მძიმე ფორმები

1. ეთიკის კოდექსის ნაკლებად მძიმე დარღვევად ჩაითვლება:

ა) ლექციის მიმდინარეობისას ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება ლექტორის ნებართვის გარეშე;

ბ) ლექციის მიმდინარეობის დროს უნებართვო გადაადგილება აუდიტორიაში;

გ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ბილწსიტყვაობა;

დ) სიყალბე და პლაგიატი

ე) ყველა სხვა გადაცდომა, რომელიც ხელს უშლის უნივერსიტეტის სასწავლო - კვლევით და ორგანიზაციულ საქმიანობას;

2. ეთიკის კოდექსის მძიმე დარღვევად ჩაითლება:

ა) უნივერსიტეტის შენობის ინვენტარის, აღჭურვილობის განზრახ დაზიანება;

ბ) კონფლიქტური სიტუაციის შექმნა ან მასში თანამონაწილეობა;

გ) ალკოჰოლური სასმელის, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;

დ) ცივი იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარება, გამოყენება, სხვა პირისათვის გადაცემა;

ე) თამბაქოს, ელექტრონული სიგარეტის და სხვა მსგავსი საშუალების მოხმარება უნივერსიტეტის შენობაში;

ვ) სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქმედება;

ზ) პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდა.

თ) დისკრიმინაციული მოპყრობა სხვა პირების მიმართ.

მუხლი 33. ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობები

1. ეთიკის კოდექსის ნაკლებად მძიმე დარღვევა, პირველ ეტაპზე, ითვალისწინებს სტუდენტისთვის გაფრთხილების მიცემას და, ვანდალიზმის შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურებას. საკითხს განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური კომიტეტი.
2. ეთიკის კოდექსის განმეორებით დარღვევა ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას და, ვანდალიზმის შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურებას. საკითხს განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური კომიტეტი.
3. პასუხისმგებლობა სიყალბისა და პლაგიატისთვის განხილულია სამეცნიერო საქმიანობის სტანდარტსა და სტუდენტის მეგზურში.
4. ეთიკის კოდექსის მძიმე დარღვევა ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას და სამართალწარმოების დაწყებას, ხოლო ვანდალიზმის შემთხვევაში, ასევე, ზარალის ანაზღაურებას. საკითხს განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური კომიტეტი.
5. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის აღკვეთისათვის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

მუხლი 34. დასკვნითი დებულებები

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დღემდე მოქმედი სტუდენტის ეთიკის კოდექსი, მაგისტრანტის ეთიკის კოდექსი, დოქტორანტის ეთიკის კოდექსი.
2. წინამდებარე კოდექსი ძალაში შევიდეს გამოცხადებისთანავე.